2. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №10.34/10/031

ქ.თბილისი 4 ივნისი 2013 წ.

ერთის მხრივ, ქ. თბილისის სამგორის რაიონის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი გამგებლის მ. შ. გიორგი ხახნელიძის სახით და მეორეს მხრივ ინდ. მეწარმე მზია მდინარაძე (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მზია მდინარაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის შედეგად დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3 „შემსყიდველი“ -ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია-შემსყიდველის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული მსუბუქი სტანდარტული ტიპის ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეცხვითი მომსახურება წინასწარ გაცემული რეცხვის ტალონების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით;
2.2. CPV კოდი 50112300;

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 3465.0 ლარს;
3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. მომსახურების გაწევისა და ანგარიშსწორების პირობები

4.1 შემსყიდველი იხდის ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეცხვის ღირებულებას უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;
4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რეცხვის ტალონების მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე;
4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან არაუგვიანეს 15 დღის განმავლობაში;
4.4. გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

მ. ...

4.5. საგადასახადო რეჟიმის შეცვლის ან სხვა მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს (გაზარდოს) რეცხვის ღირებულება, რის სესახებ ის 10 დღით ადრე წერილობით აცნობებს „შემსყიდველს“;
4.6 4.7. წინამდებარე ხელშეკრულების ინტერესებიდან გამომდინარე, ავტომანქანის რეცხვის ტალონი-ეს არის შემსყიდველის მიერ დაბეჭდილი ბარათი, რომელიც განკუთვნილია შემსყიდველისათვის და ადასტურებს მის უფლებას შესაბამის ავტოსამრეცხაოში მიიღოს ავტომანქანის რეცხვის მომსახურება;
4.7 ტალონი გამოიყენება მხარეთა მიერ შესრულებული მომსახურების აღსარიცხავად.
ტალონზე აღინიშნება:
-შემსყიდველის ხელმოწერა და ბეჭედი;
-ტალონის (მომსახურების) სახეობა დაიბეჭდება ავტომანქანის მარკის მიხედვით;
4.8. ავტოსამრეცხაოზე წარმოდგენილი ტალონი, უკანა მხრიდან დამოწმებული უნდა იყოს შემსყიდველის ბეჭდით, დაუმოწმებელ ტალონზე მომსახურება არ განხორციელდება;
4.9. შემსყიდველის ბეჭდით დამოწმებული ტალონით რეცხვითი მომსახურება განხორციელდება ნებისმიერ მის წარმომდგენ პირზე;
4.10. მიმწოდებელი ვალდებულია რეცხვის ტალონის წარმოდგენისთანავე გაურეცხოს ავტომანქანა რეცხვის ტალონის წარმომდგენს.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.
5.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ: ქ. თბილისის სამგორის რაიონის გამგეობის აპარატის თანამშრომელ(ებ)ი.

6. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

6.1. ავტოსატრანსპორტო საშუალების რეცხვა განხორციელდება მისამართზე ქ. თბილისი, ვარკეთილი, მასივი III, თრიალეთის ქ. №8 ;
6.2. ავტოსატრანსპორტო საშუალების რეცხვა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
7.2. შემსყიდველის წარმომადგენელი-მძღოლი უფლებამოსილია დაესწროს მიმწოდებლის მიერ შესაბამისი ავტოსატრანსპორტო საშუალების რეცხვის პროცესს;
7.3. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
7.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
7.5. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;
8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;
8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
9.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიღების განზრახვის შესახებ;
9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ
.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება შეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13. სხვა პირობები

13.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
13.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
13.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სამგორის რაიონის გამგეობა
მის. ქ. თბილისი, ნავთლუღის ქუჩა №8-1
სს „ლიბერთი ბანკის"
ცენტრალური ფილიალი
ა/ა GE95LB 0125152101627000
კოდი LBRTGE22
საიდენტ. კოდი 206351598
ტელეფონი 231 88 86

გამგებელის მ. შ.

გიორგი ხახნელიძე

მიმწოდებელი:

ინდ მეწარმე „მზია მდინარაძე"
მის. ქ.თბილისი, თრიალეთის ქ. №8
სს „თიბისი ბანკი "

ა/ა GE56TB70 0458 7365 1000 05
კოდი TBCBGE22
საიდენტ. კოდი 62007002215
ტელეფონი 593 00 37 37

დირექტორი

მზია მდინარაძე

დანართი 1

ქ. თბილისის სამგორის რაიონის გამგეობის თანამშრომლებზე მომსახურე 7 მსუბუქი ავტომანქანების რეცხვის ხარჯთაღიცხვა 2013 წლის 7 თვეში (ივნის-დეკემბერში)

მომსახურების დასახელება	ავტომანქანის რაოდენობა (ცალი)	გასაწევი მომსახურების რაოდენობა თვეში ერთ მანქანაზე	გასაწევი მომსახურების რაოდენობა თვეში სულ	გასაწევი მომსახურების რაოდენობა წლის განმავლობაში	ერთჯერადი მომსახურების (რეცხვის) ღირებულება (ლარი)	ღირებულება სულ (ლარი)
1		2		3	4	5
მსუბუქი ავტომობილის „კია ოპტიმა“-ს სტანდარტული რეცხვითი მომსახურება	1	20	20	140	8-00	1120.0
მსუბუქი ავტომობილის „კია სერატო“-ს სტანდარტული რეცხვითი მომსახურება	1	10	10	70	6-00	420.0
მსუბუქი ავტომობილების „კია პიკანტო“-ს სტანდარტული რეცხვითი მომსახურება	2	10	20	140	5-00	700.0
მსუბუქი ავტომობილების „კია პიკანტო“-ს სტანდარტული რეცხვითი მომსახურება	5	7	35	245	5-00	1225
მთლიანი მომსახურების ღირებულება	9	70	85	595		3465